სამართავი პანელის ტექნიკური დოკუმენტაცია

მოდულები

- სლაიდერი
- პროდუქტი
    - პროდუქტი
    - კატეგორიები
    - ბრენდები
    - პროდუქტის იმპორტი Excel-იდან
- ჩვენ შესახებ
- წესები და პირობები
- მომხმარებლები
    - მომხმარებლები
    - მომხმარებლების ექსორტი Excel-ში
- შეკვეთები
    - შეკვეთები
    - შეკვეთების ექსპორტი Excel ფაილში
- მომხმარებელი ეძებს
- ფასდაკლების კუპონები
- უბნები
- საკონტაქტო ინფორმაცია
- შეტყობინებები
- გამომწერები
- SEO
- ადმინისტრატორები როლების მიხედვით
- სტატისტიკური მაჩვენებლები

სტანდარტული ფუნქციონალი ყველა მოდულისათვის

ნებისმიერი მოდული ხშირ შემთხვევაში იყოფა სამ ძირითად ქვე-მოდულად :

- ჩამონათვალის გვერდი
- დამატების გვერდი
- რედაქტირების გვერდი

არსებობს ისეთი ოპერაციები და ელემენტები, რომლებიც ყველა მოდულისთვის საერთოა :

- ჩამონათვალის გვერდიდან **რედაქტირების გვერდზე გადასასვლელი ბმული**
- **წაშლის ღილაკი** ჩამონათვალის გვერდზე

    - როდესაც მომხმარებელი ცდილობს წაშალოს რაიმე ჩანაწერი, **სისტემა ამოწმებს ხომ არ გააჩნია ამ ჩანაწერს შვილობილი ჩანაწერები** (მაგალითად თუ ვშლით პროდუქტის კატეგორიას, მოწმდება ხომ არ ჰყავს ამ კატეგორიას შვილობილი პროდუქტები), თუ კი - მაშინ მომხმარებელი ღებულობს შესაბამის შეტყობინებას
- **ყველა/რამოდენიმე ჩანაწერის ერთდროულად მონიშნვის** ღილაკი/ღილაკები ჩამონათვალის გვერდზე
- **სტატუსის გადამრთველი** ჩამონათვალის გვერდზე
- **მონიშნული ჩანაწერების წაშლის** ღილაკი ჩამონათვალის გვერდზე
- **მონიშნული ჩანაწერებისათვის სტატუსის შეცვლის** ღილაკი ჩამონათვალის გვერდზე
- **ჩანაწერებისათვის თანმიმდევრობის შეცვლის** ფუნქციონალი ჩამონათვალის გვერდზე
- **სათარგმნი ინფორმაციის დამუშავება** ჩანაწერის დამატების/რედაქტირების დროს
    - როდესაც მომხმარებელი ამატებს/არედაქტირებს რაიმე ჩანაწერს რომელიმე მოდულში, **არ არის აუცილებელი ინფორმაცია შეიყვანოს საიტზე არსებულ ყველა ენაზე**. ადმინისტრატორს შეუძლია **კონფიგურაციული პარამეტრებში განსაზღვროს აუცილებელი ენა,** ჩანაწერის დამატებისას სისტემა მოითხოვს, რომ მომხმარებელმა ინფორმაცია შეიყვანოს **მინიმუმ** ამ ენაზე, თუ იგი სხვა ენების შესაბამის **თარგმანებს არ აკრეფს**, მაშინ **მათ ნაცვლად აუცილებელი ენის შესაბამისი ინფორმაცია შეინახება**.
- **'შენახვა'**, **'შენახვა და დახურვა'** და **'გაუქმება'** ღილაკები ჩანაწერების დამატების/რედაქტირების გვერდებზე
    - ღილაკი **'შენახვა'**, ოპერაციის დასრულების შემდეგ, მომხმარებელს ტოვებს იგივე გვერდზე სადაც იგი იმყოფება. დანარჩენი ორი ღილაკი კი მას **აბრუნებს მიმდინარე მოდულის ჩამონათვალის გვერდზე**.
- **მიმაგრებული ფაილის წაშლა რედაქტირების გვერდებიდან** - შესაძლებელია ნებისმიერი **არააუცილებელი** ფაილის წაშლა (მაგ: მთავარი ფოტოს წაშლა ტექსტური გვერდისათვის).

სლაიდერი

ველები :

- ფოტო *
- დასახელება *
- მოკლე აღწერა
- ბმული
- სტატუსი

პროდუქტი

ველები :

- დასახელება *
- მოკლე აღწერა *
- სრული აღწერა *
- კოდი *
- ფასი *
- ძველი ფასი
- კატეგორია
- მთავრი ფოტო
- ფოტო გალერეა
- სტატუსი 'ახალი'
- სტატუსი 'ხელმისაწვდომია'
- სტატუსი 'გამოქვეყნდეს'

პროდუქციის ჩამონათვალის გვერდი

ჩამონათვალის ველები :

- **სტატუსი 'გამოქვეყნდეს'** - იცვლება გადამრთველის მეშვეობით
- **სტატუსი 'ახალი'** - იცვლება გადამრთველის მეშვეობით
- **სტატუსი 'ხელმისაწვდომია'** - იცვლება გადამრთველის მეშვეობით
- **ფოტო**
- **დასახელება**
- **რეიტინგი - ვარსკვლავების რაოდენობა, ითვლება მომხმარებლის მიერ გაკეთებული შეფასებების საფუძველზე**
- **კატეგორია**

ჩამონათვალის გვერდზე ასევე განთავსებულია **ფილტრი** შემდეგი ელემენტებით :

- **სტატუსი 'გამოქვეყნდეს'** - კი/არა
- **სტატუსი 'ახალი'** - კი/არა
- **სტატუსი 'ხელმისაწვდომია'** - კი/არა
- **დასახელება**
- **კატეგორია**

პროდუქტის კატეგორიები

ველები :

- დასახელება *
- მშობელი კატეგორია

- მთავრი ფოტო
- სტატუსი ‘გამოქვეყნდეს’

ბრენდები

ველები :

- დასახელება *
- მთავრი ფოტო *
- სტატუსი ‘გამოქვეყნდეს’

პროდუქციის იმპორტი Excel-იდან

მოდულის გვერდზე განთავსებულია ფაილის ასატვირთი ველი. გვერდზე განთავსებულია ინფორმაციული ფანჯარა სადაც ჩანს თუ როგორი ფორმატით უნდა ინახებოდეს ინფორმაცია ფაილში, მომხმარებელს ასევე შეუძლია გადმოწეროს Excel-ის მუშა ფაილი :



ტექსტური გვერდები

ამ მოდულში გაერთიანებულია ორი გვერდი : **'ჩვენ შესახებ'** და' **წესები და პირობები'**

ველები :

- დასახელება *
- მთავრი ფოტო
- ფოტო გალერეა
- სტატუსი 'გამოქვეყნდეს'

მომხმარებლები

ჩამონათვალის გვერდი

ჩამონათვალის ველები :

- სახელი
- გვარი
- ტელეფონის ნომერი
- ელ_ფოსტა
- რეგისტრაციის თარიღი

ჩამონათვალის გვერდზე ასევე განთავსებულია **ფილტრი** შემდეგი ელემენტებით :

- სახელი
- გვარი
- ტელეფონის ნომერი
- ელ_ფოსტა
- რეგისტრაციის თარიღი 'დან'
- რეგისტრაციის თარიღი - 'მდე'

მომხმარებლების ექსპორტი Excel-ში

მოდული საშუალებას იძლევა, ინფორმაცია რეგისტრირებული მომხმარებლების შესახებ გავიტანოთ **Excel-ის ფაილში**, ექსპორტირებისას **სისტემა ითვალისწინებს ჩამონათვალის გვერდზე არსებულ ფილტრსაც**.

შეკვეთები

მოდული მოიცავს ორ გვერდს :

- შეკვეთების ჩამონათვალის გვერდს
- კონკრეტული შეკვეთის დეტალების გვერდს

ჩამონათვალის გვერდზე გამოტანილია მომხმარებლების მიერ გაკეთებული შეკვეთები, თითოეულ ჩანაწერს გააჩნია დეტალურ გვერდზე გადასვლის ბმული და PDF ფორმატის ინვოისის გენერირების ბმული.

გვერდზე განთავსებულია ფილტრი შემდეგი ველებით :

- სტატუსი 'გადახდილია' - კი/არა
- სტატუსი 'ჩაბარებულია' - კი/არა
- კოდი
- მომხმარებელი - ჩამოსაშლელი ველი რეგისტრირებული მომხმარებლების სახელებითა და გვარებით
- თანხა 'დან'
- თანხა 'მდე'
- გადახდის ტიპი
- შექმნის თარიღი 'დან'
- შექმნის თარიღი 'მდე'

გვერდზე ასევე გვაქვს შეკვეთების Excel ფაილში ექსპორტის ფუნქციონალი. ექსპორტისას სისტემა ითვალისწინებს ფილტრსაც.

მომხმარებელი ეძებს

როდესაც მომხმარებელი საიტის მხარეს არსებულ **საძიებო ველში კრეფს რაიმეს** და ეძებს პროდუქტს, **აკრეფილი საძიებო სიტყვა ინახება ბაზაში**, შენახვა ხდება შემდეგი პრინციპით : **თუ რომელიმე მომხმარებელს ადრე უკვე აკრეფილი აქვს ეს სიტყვა მაშინ ერთით იზრდება ძებნის მთვლელის მნიშვნელობა, წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება ახალი ჩანაწერი საძიებო სიტყვითა და მთვლელის მნიშვნელობით** - 1.

ამ მოდულში გამოტანილია მონაცემთა ბაზის ზემოთ ხსენებული ცხრილიდან ამოღებული ინფორმაცია შემდეგი ველებით :

- **საძიებო სიტყვა (**მაგ: 'ტელეფონი')
- **მოიძებნა - (**მაგ: '9-ჯერ')

ადმინისტრატორს შეუძლია წაშალოს რამოდენიმე ან ყველა ჩანაწერი ერთდროულად.

მხოლოდ სუპერ-ადმინისტრაორისათვის ხილვადი მოდულები

ფასდაკლების კუპონები

ამ მოდულში გვაქვს ჩამონათვალის გვერდი **ადმინისტრატორის მიერ Excel ფაილიდან იმპორტირებული ინფორმაციით**. ჩამონათვალის ველებია :

- კოდი
- პროცენტი

როდესაც მომხმარებელი აკეთებს შეკვეთას, შეკვეთის გაფორმების გვერდზე მას ხვდება ფასდაკლების კუპონის კოდის შესაყვანი ველი. სისტემა ამოწმებს რეალური კოდი აკრიფა თუ არა მომხმარებელმა და თუ ეს ასეა მაშინ იგი ღებულობს ამ კოდის შესაბამისპროცენტიან ფასდაკლებას.

უბნები

ველები :

- სტატუსი 'გამოქვეყნდეს'
- დასახელება

საკონტაქტო ინფორმაცია

ამ მოდულში ადმინისტრატორს შეუძლია დაარედაქტიროს **კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია** და ასევე საიტისათვის საჭირო **სხვადასხვა პარამეტრები** შემდეგი ველებით :

- კომპანიის დასახელება
- სლოგანი
- მისამართი
- ტელეფონის ნომრები
- ელ_ფოსტის მისამართები
- ფეისბუქის ბმული
- ინსტაგრამის ბმული
- ტვიტერის ბმული
- იუთუბის ბმული

- ფეისბუქ პიქსელის კოდი
- გუგლ ანალიტიკსის კოდი
- ლოგო
- ლოგო ადმინსტრატორის განყოფილებისათვის
- ხატულა (Favicon)
- ადმინისტრატორის პანელის ავტორიზაციის გვერდის ფონი
- გრძედი (Google map)
- განედი (Google map)

შეტყობინებები

ამ მოდულში ადმინსტრატორს შეუძლია იხილოს მომხმარებლების მიერ საიტის საკონტაქტო ფორმიდან გამოგზავნილი შეტყობინებები. სხვა მოდულების ჩამონათვალის გვერდებისაგან განსხვავებით ეს **გვერდი გაფორმებულია ელ_ფოსტასთან სამუშაო ვებ-გვერდებისათვის დამახასიათებელი დიზაინის მსგავსად.** ახალ შეტყობინებებს ახლავს მოციმციმე წერტილი **რაც იმის მაუწყებელია, რომ ადმინისტრატორს ჯერ არ გაუხსნია ეს შეტყობინება, ადმინისტრატორს შეუძლია შეტყობინებების წაშლა და კონკრეტულ შეტყობინებაზე პასუხის გაცემა თანდართულ ფაილთან ერთად**.

გამოწერები

თუ მომხმარებელი დაინტერესებულია, რომ თვალი ადევნოს მაღაზიის მუშაობასთან დაკავშირებულ სიახლეებს, შეუძლია ამ სექციაში განთავსებულ ტექსტურ ველში აკრიფოს თავისი ელ_ფოსტის მისამართი და დააჭიროს ღილაკს - '**გამოწერა**', თუ მას უკვე არ აქვს გამოწერილი სიახლეები , დაუბრუნდება შესაბამისი შეტყობინება სიახლეების წარმატებით გამოწერის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი შეტყობინება იმის თაობაზე, რომ მას უკვე გამოწერილი აქვს სიახლეები.

ამ მოდულში განთავსებულია სიახლეების გამომწერთა ჩამონათვალის გვერდი შემდეგი ველებით :

- ელ_ფოსტა
- თარიღი

ამ სივრცეში უბრალოდ თავმოყრილია იმ მომხმარებელთა ელ_ფოსტები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან დამკვეთის საქმიანობით და მას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში თავის გამომწერებს მიაწოდოს მისთვის სასურველი ინფორმაცია.

SEO

საიტზე არის რამოდენიმე გვერდი, რომელთა შიგთავსიც სხვებთან შედარებით უფრო სტატიკური და არაცვალებადია ან შიგთავსი დინამიურია მაგრამ **საიტის საძიებო სისტემებთან 'მეგობრული' ურთიერთობისათვის საჭირო ელემენტები არ იცვლება** შიგთავსის ცვლილებასთან ერთად. ეს ელემენტებია :

- Meta title ატრიბუტი
- Meta description ატრიბუტი

ამ მოდულში შესაძლებელია ამ ელემენტების მნიშვნელობების განსაზღვრა შემდეგი გვერდებისათვის :

- მთავარი გვერდი
- პროდუქციის ჩამონათვალის გვერდი
- კონტაქტის გვერდი
- ჩვენ შესახებ

ადმინისტრატორები

სისტემას ჰყავს **ერთი სუპერ-ადმინისტრატორი**, რომელსაც შეუძლია დაამატოს სხვა ადმინისტრატორები შემდეგი ველების მეშვეობით :

- სახელი
- გვარი
- ელ_ფოსტა
- პაროლი
- **როლი** - სტანდარტული ადმინისტრატორი ან მოდერატორი

სუპერ-ადინისტრატორს შეუძლია სხვა ადმინისტრატორების წაშლაც.

სტატისტიკური მაჩვენებლები

მოდული გამოტანილია ადმინისტრატორის პანელის მთავრ გვერდზე და მასში ჩანს შემდეგი ინფორმაცია:

- **ჯამური თანხები დღეების მიხედვით -** ადმინისტრატორს შეუძლია აირჩიოს წელი და თვე და იხილოს ყოველდღიური ნავაჭრები



- **ჯამური თანხები თვეების მიხედვით -** ადმინისტრატორს შეუძლია აირჩიოს წელი და იხილოს ჯამური ნავაჭრები თვეების მიხედვით



- **ყველაზე გაყიდვადი 10 პროდუქტის ჩმონათვალი -** ჩამონათვალში მითითებულია რაოდენობებიც



- **შეკვეთბის რაოდენობრივი მაჩვენებლები უბნების მიხედვით პროცენტებში -** აქ ჩანს შეკვეთების ჯამური რაოდენობა და რაოდენობები უბნების მიხედვით
- **შეკვეთბის თანხობრივი მაჩვენებლები უბნების მიხედვით პროცენტებში** - აქ ჩანს შეკვეთების ჯამური თანხა და შეკვეთების ჯამური თანხები უბნების მიხედვით


შეკვეთების რაოდენობრივი მაჩვენებლები უბნების მიხედვით (%)
ჯამში 43 შეკვეთა
25.58%
16.28%
58.14%
Trial Version
სოლოლაკი (25 შეკვეთა)
მთაწმინდა (11 შეკვეთა)
დიღომი (7 შეკვეთა)
CanvasJS.com


შეკვეთების თანხობრივი მაჩვენებლები უბნების მიხედვით (%)
ჯამში 162392 ₾
28.50%
12.07%
59.42%
Trial Version
სოლოლაკი (96491 ₾)
მთაწმინდა (46285 ₾)
დიღომი (19606 ₾)
CanvasJS.com